ეროვნული შეჯიბრი
„სამოსამართლო ქცევა და დისციპლინა“

ეროვნული შეჯიბრი „სამოსამართლო ქცევა და დისციპლინა“ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ სტუდენტებისათვის შექმნილი პროექტია, რომელიც წარმოადგენს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის სიმულაციას.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის მიმართ არსებული საჩივრის ზეპირი განხილვის ფორმა - სიმულაცია შემუშავდა სპეციალურად ამ შეჯიბრისთვის და რეგულირდება შეჯიბრის წესებით.

ეროვნული შეჯიბრის მიზანი

შეჯიბრის მიზანს წარმოადგენს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ცნობიერების გაზრდა, სტუდენტების თეორიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება.

შეჯიბრში მონაწილეობა და დაშვების წინაპირობები

შეჯიბრში მონაწილეობა შეუძლია

- ✓ საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის/სკოლის **მე-3 და მე-4 კურსის, ან/და მაგისტრატურის სტუდენტებს**
- ✓ სტუდენტებისგან დაკომპლექტებული გუნდი უნდა შედგებოდეს **3 წევრისგან**

მონაწილეობის მისაღებად გუნდმა

- ✓ უნდა შეავსოს ელექტრონული განაცხადის ფორმა;
- ✓ წარმოადგინოს მოკლე ბიოგრაფია და გუნდის საერთო სამოტივაციო წერილი.

შეჯიბრის ეტაპები

I ეტაპი: სარეგისტრაციო ფორმის შევსება

II ეტაპი: წერილობითი პოზიციის წარმოდგენა როგორც საჩივრის ავტორის, ასევე მოსამართლის საპასუხო პოზიციის დასაბუთებით (დარეგისტრირებულ მონაწილეებს საქმე გადაეგზავნებათ და მიეცემათ დრო წერილობითი პოზიციის მოსამზადებლად)

III ეტაპი: ნახევარფინალი (ნახევარფინალში გასული გუნდი თამაშობს განმცხადებლის ან მოპასუხის პოზიციას)

IV ეტაპი: ფინალური ეტაპი (ფინალში გასული გუნდი თამაშობს განმცხადებლის ან მოპასუხის პოზიციას)

დაჯილდოება და საპრიზო ფონდი

შეჯიბრში გათვალისწინებულია შემდეგი ნომინაციები:

- ✓ ფინალში გამარჯვებული გუნდი;
- ✓ ფინალისტი გუნდი;

- ✓ საუკეთესო განმცხადებელი მხარის სპიკერი;
- ✓ საუკეთესო მოპასუხე მხარის სპიკერი;
- ✓ საუკეთესო განმცხადებელი მხარის წერილობითი მოსაზრება;
- ✓ საუკეთესო მოპასუხე მხარის წერილობითი მოსაზრება;

ფინალში გამარჯვებული გუნდისათვის გათვალისწინებულია:

- ✓ გამარჯვებულის თასი;
- ✓ სტაჟირება;
- ✓ სასწავლო ვიზიტის ორგანიზება ევროპის საბჭოში დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, რისი განხორციელება დამოკიდებულია კოვიდ-19 ვირუსით გამოწვეულ შეზღუდვებზე, როგორ საქართველოში ასევე დანიშნულების ქვეყანაში.

- საუკეთესო სპიკერებისთვის და წერილობითი მოსაზრებებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი თასები.
- შეჯიბრის ყველა მონაწილესთვის გათვალისწინებულია სერტიფიკატი.

განაცხადის ფორმისა და შეჯიბრის წესების სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდს https://dis.court.ge/erovnuli-shejibri/.

საკონტაქტო პირი: მარიამ მაჭარაშვილი - შეჯიბრის ადმინისტრატორი - inspector@court.ge
ტელ: 032 2 27 31 00 (229)

ეროვნული შეჯიბრის შესახებ საინფომაციო შეხვედრები ჩატარდება 2 ნოემბერს 15:00 საათზე, ხოლო 5 ნოემბერს 18:00 საათზე Zoom პლატფორმის საშუალებით შემდეგი ბმულებზე:

2 ნოემბერი 15:00 საათი
https://us02web.zoom.us/j/83773739286?pwd=ajRjLzA2RTNTOTViRFlSREorWjNFZz09
Meeting ID: 837 7373 9286
Passcode: 585401

5 ნოემბერი 18:00 საათი
https://us02web.zoom.us/j/84218681105?pwd=WkY0eVV5U24yTlYxcTlqUUdzTmt5Zz09
Meeting ID: 842 1868 1105
Passcode: 088794

ეროვნული შეჯიბრის კალენდარი

ეროვნული შეჯიბრი „სამოსამართლეო ქცევა და დისციპლინა“	
გუნდების რეგისტრაციის გამოცხადება	25 ოქტომბერი
ეროვნული შეჯიბრის ირგვლივ საინფომაციო შეხვედრები Zoom პლატფორმის საშუალებით	2 ნოემბერი - 15:00 5 ნოემბერი - 18:00
გუნდების რეგისტრაციის დასრულება	13 ნოემბერი
შერჩევის შესახებ გუნდების ინფორმირება	18 ნოემბერი
შერჩეული გუნდების ტრენინგი Zoom პლატფორმის საშუალებით	20-21 ნოემბერი
წერილობითი მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადა	30 ნოემბერი
ზეპირი მოსმენები: ნახევარფინალი და ფინალი	11-12 დეკემბერი